



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 79
13/12/2019

79-09-4-201912131635



საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის
დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის
საპროექტო წინადადებების მოწონების
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 07 თებერვლის №23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებები თანდართული ფორმით.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილ თხლაშიძე


საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებები

N	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება	პროექტის კატეგორია	პროექტის ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	რეგ. ფონდის დაფინანსება	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება	ბენეფიციარი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	ექსპერტიზა
1	კახეთი	თელავი	სოფ. ფშაველში ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა	სპორტული მოედნები	78 347	74 429	3 918	2000	არის	არსაქონლობა
2	კახეთი	თელავი	ქ. თელავში კავკასიონის, მშვიდობის და კვირიკე დიდის ქუჩების მიმდებარედ და სოფ. წინანდალში ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედნების მოწყობა	სპორტული მოედნები	339 985	271 986	67 998	25000	არის	არსაქონლობა
3	კახეთი	თელავი	სოფ. ახატელში ეკლესიისაკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია	გზები	417 140	396 283	20 857	3000	არის	არის

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

